წელიწადი მეცხრე.—№ 428

პარასკევი, 21 ივნისს 1874.

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

ტფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში.
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო:
—წვრილი ამბები „დროების“ კორრესპონდენცია: ზემო მაჩხანიდგან—უფ. „აბა მიცანით ვინა ვარს“—ორიოდე სიტყვა სვანეთის კორრესპონდენციაზედ—უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი—წერილი პარიჟიდგან—ნ ა რ ე ვ ი. მ წ ე რ ლ ო ბ ა: თვით მასწავლებელი რუსული ენისა.
საქუთაისო ფელტონი,—W-ისა.

ორის თვის ანგარიში.

## ოძისის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობის ალებ-მიცემისა

ესე იგი 1874 წლის 21 მარტიდამ 21-ს მაისამდის

ამხანაგობაში ირიცხება წევრად ას სამოცდა სამი კაცი.

**ა.) შემოსავალი**

1.) წევრთაგან შემოტანილა საწილო ფული . . . . . . . . 994 მ. 20 კ.
2.) სესხი, მიღებული ამხანაგობისაგან დამფუძნებელთაგან . . 1500 მ.
3.) სარგებელი, აღებული გასესხებული ფულისაგან . . . . . 68 მ. 10 კ.
4.) სავაჭრო ბანკში შეტანილის ფულის სარგებელი . . . . . . . 8 მ. 40 კ.

სულ შემოსულა 2,570 მ. 70 კ.

**ბ.) გასავალი**

1.) გასესხებულა . . . . . 1135 მ.
2.) დახარჯულა გამგეობის გასამართავად . . . . . . . . 160 მ.

სულ გასულა 1,295 მ.

**გ.) კასსა.**

1.) ფული არის სავაჭრო ბანკში სასარგებლით . . . . . . 8,07 მ. 60 კ.
2) ამ ფულს ერგება სარგებელი ბანკიდამ . . . . , . . . 8 მ. 40 კ.
3.) ნაღდი ფული არის კასსაში . . 459 მ. 70 კ.

სულ 1,275 მ. 70 კ.
გასავალი არის 1,295 მ.

ერთიანი ჯამი 2,570 მ. 70 კ.

გამგეები აზ. მიხეილ ჭადაგოვი.
გრიგოლ ოსეფოვი.

ს. ოძისი 22-ს მაისს 1874 წელსა.

---

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## ტფილისის სავაჭრო ბანკისა

ტფილისის სავაჭრო ბანკის სამმართველო აცხადებს საყოველთაოდ საცნობად, რომ ბანკი 11 იანვრიდგან 1874 წ., ცვლილების მოხდენამდის, ასის თავზედ შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგებელს:

**იღებს**

(1 სესხზედ იმ სარგებლიან ქაღალდებში,
ა.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში იღებენ:
სამი თვით . . . . . . . . . 6 %
ექვსი თვით . . . . . . . . . 7 %
ბ.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში არ იღებენ:
სამი თვით . . . . . . . . . $7\frac{1}{2}$ %
ექვსი თვით . . . . . . . . . 8 %
2.) სპეციალურს ხელად მიბარებულ ფულში. სარგებლიანი ქაღალდებით და ვექსილებით უზრუნველ-ყოფილს . . . . . . . . . 7 %
3.) ვექსილების დაცვლაში:
სამი თვით . . . . . . . . . 8 %
ცხრა თვით . . . . . . . . . $8\frac{1}{2}$ %
4.) საქონლის გირაოში:
რომელიც მოტანილია . . . . . . 9 %
რომელიც გზაშია . . . . . . . 10 %

**იხდის**

1.) ხელად მიბარებულ ფულში . . . 5 %
2.) შესანახად მიბარებულში
ა.) მოთხოვნამდის . . . . . . . 5 %
ბ.) ექვსი თვით . . . . . . . . 5 %
გ.) ერთი წლით . . . . . . . . 6 %
დ.) წელიწადზე მეტის ვადით მიბარებულში—სამმართველოსთან მორიგებით.

სამთავნოდ შესანახი ფული მიიღება: ყველა კერძოობითი პირისაგან, მოვაჭრე საზოგადოებათაგან და კამპანიებისაგან, ეკკლესიებისა და მონასტრებისაგან, სახაზინო და საზოგადოებრივს დაწესებულებათაგან,—ას მანეთზედ არა ნაკლები.

ბანკში შენახული ფულების ბილეთები, ფინანსთ-მინისტრის განკარგულების თანახმად, ყველა სასამართლოებში და სახაზინო სამმართველოებში იჯარისა და შეკრულობის გირაოდ მიიღებიან: უვადო და ექვს თვემდის ვადიანი—მანეთი მანეთად და ერთის წლის და მეტის ხნით ვადიანი—ცოტა ნაკლებათ. ფოჩტით გამოგზავნილს შესანახს ფულს შემდეგი განცხადება უნდა მოჰყვეს:

---

**ВЪ ТИФЛИССКІЙ КОМЕРЧЕСКІЙ БАНКЪ.**

От такого-то

**ОБЪЯВЛЕНІЕ**

Препровождая при семъ столько то рублей, прошу принять эту сумму на вкладъ для обращенія изъ процентовъ на такой то срокъ (или до востребованія, или на такихъ то условіяхъ) и выслать билетъ на мое имя или на имя токого то, или на предъявителя,) по такому то адресу.

Число, мѣсяцъ и годъ. Подпись и мѣстожительство.

---

ქალაქს ტბილისში

ვართანოვის წიგნების მაღაზიაში ისყიდება

**მცენარეთა ლექსიკონი.**

ლათინურს, რუსულს და ქართულს ენებზედ შედგენილი თ. რაფ. დ. ერისთავის-მიერ

ფასი ათი შაური.

## წვრილი ამბები

— მომავალი ივლისის პირველიდგან! ტფილისში ახალი სავაჭრო პროგიმნაზია, იხსნება რომლისათვის ნაქირავებია პუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, უფ. ალელოვის სახლები. წელს მარტო მოსამზადებელი და პირველი კლასი გაიხსნება. მისაღები ეკზამენები დაიწყება 20-ს აგვისტოს. ვისაც ყმაწვილების ამ პროგიმნაზიაში მიცემა სურს, თხოვნა და საჭირო დოკუმენტები ინსპექტორის სახელზედ უნდა შეიტანონ.

---

— ამ დღეებში მიხაილის ხიდზედ, ლამე, სამს ავაზაკს ერთი მაიორი დაუჭრიათ. პოლიციას ერთი ამათგანი დაუჭერია, ორნიკი გაქცეულან.

---

— ჩვენ მივიღეთ ნამდვილი ცნობა, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის წეს-დება დამტკიცებულა ამ წლის 28-ს მაისსა.

---

— კავკასიის სამასწავლებლო მაზრის მთავრობას ქუთაისის პროგიმნაზიაში 10 მანეთი გარდასახადი დაუწესებია თითეული ყმაწვილზე მოსამზადებელ კლასში სასწავლებლად და 12 მანეთი შემდეგი კლასების მოწაფეებისათვის.

---

— ამბობენ რომ თელავის სასულიერო სასწავლებელი უნდა დაიხუროსო. ნეტა, რა მიზეზი უნდა იყოს?

---

— ცხინვალიდგან იწერებიან, რომ ერთი თვის წინამ სოფელში ერთ ქალს მაიმუნის მსგავსი არსება დაბადებია. ეს ბავში სულ

---

## საქუთაისო ფელტონი.

საკვირველია, როგორ უეცრად გადაეყრება კაცი ხაიდისხან ჭეშმარიტებას! ეხლა მესმის მე ნიუტონის, გალილეს და უაიტის გამსჭვრეტელობა. დარწმუნებული ვარ, იმათაც ჩემისთანა შემთხვევა მოხვედრიათ და იმისთვის ერთს მიმზიდველობის კანონი გამოუჩნია, მეორეს მიწის ბრუნვა, მესამეს ორთქლის ძლიერება.

მართალია, მე ამათი გვარი არა მომინახავს რა, მაგრამ ისეთი კითხვა კი ავხსენი, ისეთი სანთელი კი ვიშოვნე, რომლის სხივით მთელს ჩვენს არე-მარეს განათებულად ვუმზერ.

მკითხველი მოლოდებით სკდება მგონია: „რა არი ვექო, რა ნახე ამისთანა, აღარც კი გვეტყვი?“ მიფიცხდება მოთმინებიდამ გამოყვანილი „მედროებე“. შე დალოცვილო, ჩემთან რომ ერთი წამის სულ გრძელობას არ კადრულობ, სხვაგან კი რატომ არა ხარ ასეთი? რატომ ითმენ სხვაგან დაჩუმებას, შერცხვენას, შეურაცხყოფას და უენობას ერთი წამით კი არა, ათი და ოცი წლობით?

მაგრამ იქ სუსტი ხარ, და აქ ძლიერი; არც ისე ძლიერი, რომ ძალა დამატანო, თუ მე თითონ არ მსურდეს შენი შებრალება, მკითხველო, და დაკმაყოფილება შენი აღელვებული (მოგეცა ცხონება!) ცნობის-მოყვარეობისა. ეს არის ჭირი, რომ კეთილის გულისა ვარ და შეწყნარების გრძნობა თან დამზდევს ყოველთვის აჩრდილათ.

მაშ ისმინე: გუშინასწინ თქვენი მორჩილი მოსამსახურე ათვალიერებდა შუა ბაზარში ძველს ქართულს წიგნებს. იქ მე შემხვდა ერთი ძველი ეფუთის წიგნი—ეს წიგნი ვახტანგ გორგასლანის დროისა არის. გადავფურცლე ერთი, ორი გვერდი და მესამეზედ აი როგორი შესანიშნავი და სახელთმძღვანელო სიტყვები აღმოვიკითხე: „დადგეს ჟამი, ოდეს ცხოვრებამან ჩვენმან წარმოგვიდგინოს მაგალითი განსხვავებული, მაშინ აღარ იქმნეს ტომი ქართველთა საჭიროთა საქმეთადა მოვლინებათა შინა მისთა გართულ. არა იქმნეს იგი გამომკვლეველ და მომსმენ მომავლისა თვისისა, არამედ მიეცეს უზრუნველობასა სრულსა. ხოლო მწერლობა დროსა მას იქნეს შესაძლო ესრეთი, რომელიც შეეხების მცირეთა საქმეთა, უქმთა მოვლენათა, და კერძოთა პირთა... ვიდოდეს ჟამი ესრეთ და ღრუბელნი შავნი ფრიადითა სისწრაფითა შეგროვდებოდეს ცასა ზედა საქართველოსათა.“

დავასრულე ეს ძვირფასი წინასწარმეტყველობა თუ არა, განქრა ჩემი ეჭვი, აღმევსო იმედით გული და შევსძახე სახელ-განთქმული Evrica!

და, მოგახსენებთ, კიდევაც ღირდა სასიხარულოდ, ეს ჩემი ნახული! წყეულმც იყოს დღეის შემდეგ ყველაფერი, რაც მკითხველისათვის არ იქნეს უტკბეს ნესვისა,—მგონია, კაი ნესვზედ ტკბილი არ ა;ყოს რა,—და უსიამოვნესს საკრავთა სამოთხისათა!

ამ წამიდამ—ახ სად იყო აქამდის ეს ბედნიერი წამი!—ძვირფასო და გონიერო მკითხველო! მე მოგითხრობ შენ ფრიად გასართობ და სამხიარულო საგნებზედ.

ვახსენოთ ღმერთი და დავიწყოთ გამოაშკარება სხვა და სხვა შესამჩნევთა საიდუმლოებათა, რომელზედაც დამოკიდებულია საზოგადოების არსებობა თუ არა, კეთილდღეობა მაინცა.

ერთს ქალაქს, რომელსაც ჩამოუვლის შფოთიანი წყალი, სახელად ფასის მდინარე, ერთს საპატიო თანამდებობის პირს საზარელათ მოუტყუილებია მეორე არა უმეტესად საპატიო პირი. ეხლა ეს ბატონები ძალიან ჩაქიშპებულან ერთმანეთზედ და არავინ არ იცის, რითი დაბოლოვდება საქმე. ამისთანა შესანიშნავს მოვლენას საზოგადოება გულის ძგერით შესცქერის და ფიქრობს „რა იქნება, ღმერთო!

ერთს ჩასქელებულს ქალს, რომელსაც საკმაო ბევრი ნაცნობები ჰყავს და რომელთანაც ერთი წერწეტა ახალგაზდაა შეჩვეული, უთქომს ამას წინეთ იმ ყმაწვილისთვის: თუ ჩემი სიყვარული, გინდა ჰკვიანად იყავი, ვილაც გოგოებს ნუ აჰყოლიხარ, თორემ შენც თავს-ლაფს დაგასხამს და იმ შენს სიყვარულსაცაო. ეს ამბავი შეეტყო მეზობელს ადვოკატს და მთელს ქუთაისში დაუგდია ხმა რომ ზ. და თ. ერთმა-

უძველო იყო თურმე, ბალნით შემოსილი ზედა ტანი მაიმუნს მიუგავდა, ყურები ძაღლსავით გაცქეტილი ჰქონდა, ტანზედ რამდენიმე ალაგს ხორც-მეტები ესხაო ხელებსა და ფეხებს გარდა.

---

— წელს Თფილისის კლასსიკურ გიმნაზიაში მერვე კლასის ორმოც მოწაფეთაგან ოცდა ათს კურსი გაუთავებია, აქედამ ორი ქართველია და სხვა რუსი და სომეხი. Ქუთაისის გიმნაზიაში კი ოცდა ხუთ ყმაწვილთაგან მარტო რვას გაუთავებია კურსი და დანარჩენს თუ ეკზამენის დაჭერის ნება ვერ მიუღიათ, თუ ვერ გაუმარჯვნიათ. Ამას გარდა Ქუთაისის გიმნაზიის შვიდას მოწაფეთგან შემდეგ კლასებში მხოლოდ ორმოცი ყმაწვილი გადუყვანიათ და სხვები დარჩენილან და აქედამ ასიოდეს გიმნაზია სრულიად დაუტოვებია.

Ეს ამბები სწორედ სანუგეშო არ უნდა იყოს ჩვენთვის. Ეს იმას მოასწავებს, რომ Თფილისის გიმნაზიაში უფრო სომხები, ხშირად შეძლებული რუსულის მცოდნე ოჯახის შვილები და რუსები სწავლობენ; იმათგან სამი მეოთხედი ხეირიანად გიმნაზიის კურს ათავებს; და Ქუთაისის გიმნაზიაში უმრავლესობა მოსწავლეთა ქართველი შეუძლებელი ოჯახის შვილებია და ამათ ენის უცოდინარობის გამო საგნების სწავლა უძნელდებათ და ეს გარემოება იმდენათ უხშავს იმათ ყოველივე ბუნებითს ნიჭს, რომ მერვე კლასის მესამედი ძლივს ათავებს კურს და დანარჩენი სამხედრო სამსახურში შედის. Უმრავლესობას მერვე კლასამდის მიწევნის ღონეც ესპობათ და სამუდამოდ გიმნაზიურს სწავლას ეთხოვებიან.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

---

ს. ზემო მარხაანი, 12 ივნისს 1874 წ.

Მე დღეს კიდევ ქიზიყზედ უნდა გელაპარაკო, ჩემო მკითხველო. Მაგრამ ამ სიტყვის „ქიზიყზედ“ ამოკითხვის უმალვე იქნება შენ უსიამოვნოთ გაიქნიო თავი და არაფრათ გეჭაშნიკოს ამისი განმეორებითი კი არა— განმეათებითზედაც კიდევ მეტი გაგონება. Იქნება, უსიამოვნობის მგრძნობელობით შეიჭმუხნო შუბლი, მწარედ გააწკლაპუნო პირი და მითხრა: „რა დაგემართათ შენ და შენ ქიზიყს, რაზე მოგვაძულე ამტელი იმაზედ უბედობით თავი, რით ვერ მორჩი იმათი საცოდაობის დასრულებას? უსიამოვნობით ალგვივსე გული, ერთი სასიამოვნოც გვითხარი რამე“! და სხვანი... Მაგრამ აი ამაზედ მეც რას გიპასუხებ: „ერთი მაძღარი კაცი შემოხვდა ერთ მშიერ კაცსა. Ამათ, რისგამოც იყო, ლაპარაკი გამოუვიდათ. Დაუწყეს ერთმანეთს ბაასი და ამასობაში მაძღარმა უთხრა მშიერს: აი, შენი მშიერი....! Მშიერმა უპასუხა: „შე კარგო კაცო, „ბევრი მაქვს და არა ვსჭამო?!“ მეც ასეთივე პასუხით მოგიგებ, ჩემო მკითხველო: მოხდა რამე სასიამოვნო ცვლილება ქიზიყელების ცხოვრებაში და მეც არ გელაპარაკე იმაზედ?— Აქ,—როგორც წინათ გაგიგონია და ეხლაც გესმის,—ტრიალებს მხოლოდ გაცხარებული შიმშილი, ისე, როგორც ამოლებული ხმალი ომში, და შეუბრალებლათ ჰკვეთს თავს ყველას, ვინც კი ხდება მისი მსხვერპლი, მისი ანაწერი. Მაშასადამე მე, ერთ ქიზიყელთაგანს, დამშთენია შენთან სალაპარაკო საგნათ რა? Ქიზიყი, მხოლოდ ჩემი სამშობლო ქიზიყი და ამისი წარმომადგენლების შიმშილით წყვეტა-ჟლეტა.

Მაგრამ ამას რას ვამბობ, „ამის წარმომადგენლების“ მეთქი. Სადღაა წარმომადგენლები? Ვილას ნახამ ამ ქამათ სოფლებში, ან მინდვრათ? Ვისთან მიხვალ და ვინ გეგულება შენი ნაცნობი კარგი ოჯახის შვილი, რომ კარები მაგარი ურდულით არა ჰქონდეს დაკეტილი, ბარგი სახლის ჰერზედ არ შეეწყოს და თითონ მოუბრუნებლათ არ დალეულ იყოს? Ახლა ვიკითხოთ, სად წასულან, სად დალეულან? Ღმერთმან იცის სად: Ლეკეთში, Თათარში, Ოსმალეთში და ყველგან იქ, სადაც უპოვიათ თავიანთი თავის შესაფერი, თავის ნუგეშის-მცემელი და სიკვდილისგან, შიმშილისგამო, გადამრჩენი ხალხობა.

Ეს კარგი და საუცხოვოა, ერთის მხრით, მკითხველო, რომ ქიზიყლებმა თავიანთი თავის საფარი სხვა და სხვა მხრებში იპოვეს, რომ შიმშილით დაოსლებული აგებულება ბევრათ თუ ცოტათ მოიბრუნეს და მოილონიერეს; მაგრამ მეორის, მესამის და მეოთხის მხრით კი,—ვიტყვი თამამად,— სრულებით ვერაფერ სასიამოვნო სურათს წარმოგვიდგენს მომავლისთვის. Ვისთვის, როგორ და რამდენათ საზარალოა ქიზიყელების სხვა ქვეყნებში გადასვლა, მე ამის მსჯელობაში არ შევალ; ამის გამოძიებისთვის და გამოკვლევისთვის მოქმედების ასპარეზს დაუთმობ იმას, ვისაც ეკუთვნის ეს. Ხოლო რაც შეეხება მესამე მხარეს, ვიტყვი იმას, რომ რამდენათაც სასარგებლოა, ნივთიერი ცხოვრების მხრივ, ქიზიყელებისთვის სხვა და სხვა მხარეებში გადალუპვა, იმდენათ უსარგებლოც. Უსარგებლოა მით უმეტეს, რომ ბევრი ნაწილი მათგანნი, განსაკუთრებით მდედრობითი სქესი, სრულებით ვერ ასცდენიან, როგორც ისმის, იმ სასჯელს, რაც იმას ემუქრებოდა აქ, თავის სამშობლოში, შიმშილის გამო და რაც იყო უმთავრესი მიზეზი იმათი გადასახლებისა: ადგილის შეუჩვევლობა, ჰაერის აუტანლობა და სხვა იმათ ერთ-მეორეზედ აწყობით და დაჩქარებით მიეზიდება, თურმე, საფლავისკენ.

Მაშ რაღა დარჩენიათ ჩვენ საცოდავს ქიზიყელებს? Სრულებით არაფერი სანუგეშო. Ცოტა, ძალიან ცოტა დროც—და სრულებით გასწყდებიან ისინი, ამოუათ გზათა უკან წანწალში სული და დამარხვასაც ვეღარ ეღირსებიან, საბრალონი, თავის სამშობლოში. Იმათ სხეულს, ცვივნულს გზათა უკან ტყეში და ღრეში, ნაცვლად ჩვეულებრივის მიწის მიბარებისა, დაეპატრონებიან, დასანთქავათ, ნადირნი-მტაცებელნი და ნაცვლად მშობლიურის გლოვნა-გოდებისა დასჭყავებენ თავს ყვავნი და ყორანნი. Ეს არის ჩვენი ქიზიყელების ბოლო და ყოვლად აუცდენელიც იქნება მათთვის ეს უბედურება, უკეთუ ხანგრძლივ დაჰყოფენ ისინი მისთანა განწირულებაში.

Ქიზიყის ამ მდგომარეობიდგან, დახსნისათვის საჭიროა და ფრიად საჭიროა, რომ შეეწიოს და თანა უგრძნოს მას საზოგადოებამ, საზოგადოებამ, რომელსაც ძალ-უძს გაუწოდოს მას საშველათ ხელი და გადაარჩინოს სიკვდილს.

Ნამდვილია, ერთ უპირველეს პირობას გაქცეულების ქიზიყელების სამშობლოში მობრუნებისთვის ისიც შეადგენს, რომ მთავრობამ, შემდეგ კანონიერის განკარგულებისა, შეაჩეროს ქიზიყელებზედ სახელმწიფო ხარჯი (ფოშტის ფული და სხვ...) იმ დრომდინ, ვიდრე მათ კეთილ-მდგომარეობა ნებას მისცემთ გადიხადონ ეს სახემწიფო ვალი და ვიდრე შეუმაგრდებოდესთ უმოხავლობით დაძალული ზურგი.

Ჩვენი სოფლების სულიერი მამები, დაპირცარიელებულნი თავიანთ სამწყსოდგან, აპირებენ,—როგორც ისმის,—ერთობ მომართონ უ. Თფილისის სამოქალაქო გუბერნატორს და სთხოვონ, რომ მიეცესთ მათ სესხად პური სახელმწიფო პროვიანტის მაღაზინიდგან Ამასთანავე სურთ დაუმატონ, რომ იმ შემთხვევაში, უკეთუ მთავრობა კეთილ-ისურვებს მათის თხოვნის დაბოლოებას იმათ სასარგებლოთ, მაშინ დარჩებათ იმათ მთავრობასთან ერთი სათხოვარიღა, სათხოვარი მის შესახებ, რომ მოკრეფის დროს ამ სესხისა, ე. ი. მაშინ, როდესაც მოსავალი პირს მისცემთ მათ მრევლს, მთავრობამ ჯეროვანი შემწეობა აღმოუჩინოსთ განწესების მოკრეფაში, რაც კანონით ეკუთვნისთ მღვდლებთ მრევლთაგან, რომ ამნაირი ღონისძიებით ესენი პირნათლად გამოვიდნენ სესხში.

Ჭეშმარიტად ღირსია სრული ყურადღებისა ეს სამღვდელოთ არზა, თუ მართლად აპირებენ ისინი რასმეს ამის მგზავს. Ღირსია მით უმეტეს, რომ მათი ცხოვრება დამოკიდებულია მარტო იმ მრევლიდგან შემოსავალზედ, რასაც ისინი ყოველ წლივ ნამუშავრით იღებენ (სადღა იღებენ?) მათგან და რომელზედაც ეხლა, მათის სხვა და სხვა მხარეებში გადაცვივნით, სრულებით ხელცარიელები დასხდნენ. Გარდა იმისა, რომ ამ შემოსავლით იკვებებოდნენ თავიანთ ცოლშვილით (რადგანაც იმათ ბედობაზედ სხვა ფულათ ჯამაგირი არსაით ჰყავის), იმოსავდნენ ტანსა და ფეხსა, ზრდიდნენ სხვა და სხვა სასწავლებელში თავის შვილებს, უხვდებოდნენ მასპინძლურად მტერს და მოკეთეს,—სხვა და სხვა ფულათ გარდასახადსაც ამითა სწევდნენ და სწევენ.

Აბა ახლა წარმოიდგინე, მკითხველო, როგორიღა უნდა იყოს ან ხორციელი, ან სულიერი მდგომარეობა მღვდლისა სოფელში, როდესაც ის მოკლებულია უკანასკნელ სახსარსაც თავის სიცოცხლის დაჭერისთვის?!... Სხვა ნივთიერ ნაკლებობაზედ ხომ ხმაც აღარ ამოიღება.

Წლევანდელი ქირნახულები საიმედოს სრულებით არაფერს აღუთქვამენ ქიზიყელებს. Ათასჯერ და ორიათასჯერ სჯობდა, რომ სათესლე პური,—რომელიც იმათ მამასისხლად ჰქონდათ მოპოებული სხვა და

---

ნეთს დაშორდნენო. Არავინ კი ბეჯითი არ იცის, რა ბოლო ექნება ამ საინტერესო და თან საყურადღებო აშიყების შეტაკებას, ან მეზობელი ადვოკატის მონაწილეობას ამ საქმეში.

Კნეინას Ჯ. თავისი ქმრის სახელით ევაჭრა თურმე ერთს დუქანში რამდენიმე ასი მანეთის ფართალი; შეუპირებია ვაჭარი სახლზედ ორს სათს და პირველზედ კი იმას ფაეტონით გაუწევია სოფელში. Მთელი აზნაურება შეძრწუნებულია მზგავსი უსინიდისობით, ნამეტურ ამისთვის, რომ ეს საპატიო ქალი ერთი შესანიშნავის მეუღლე ყოფილა და ამითი ის ცხადია ამცირებს თავადობის ღირსებას. Კნეინები ექსორიას უპირობენ თურმე ამ ქალს; განსაკუთრებით კნეინა Ქ. და კნეინა Ც. არიან თავგამოდებული. (თავგადმოდებულად არავინ წაიკითხოს).

Ქუთაისი ცარიელდება; შეძლე საზოგადოება წყლებზედ და საზაფხულო ადგილებზედ მიდის. Ერთი სოფლის თავადის შვილი დიდი ხანია აპირებს თურმე Აბასთუმანში წასვლას. Მაგრამ ვიღასაც დაურწმუნებია ეს საბრალო, რომ Აბასთუმანის გაძლება შენს ჯიბეს არ შეუძლიანო. Ამ შეჩვენებულს უთქვამს ავად-მყოფი მებატონისთვის, რომ იქ აბაზს აძლევენ თუმანშიო, ე. ი. რაც აბაზათ ღირს იმას თუმნად მოგცემენო და ამიტომაც ჰქვიან ამ წყლებს Აბასთუმანიო. Ეს ხმა ისე გავრცელდა თურმე ერთ კვირას, რომ ეხლა Იმერეთიდგან ველარავინ ბედავს Აბასთუმანში წასვლას.

Ამის შემდეგ არ იქნება ურიგო გადავიდეთ იმ ამბავზედ, რომელმანაც ამ ბოლოს დროს საზოგადო ყურადღება შეიპყრო.

Ერთს ლაქიას უთქვამს მეორე ლაქიასათვის, რომ ჩემი ბატონი რუსეთში მიდის სამუდამოთ, აქ აღარ მოსწონს ცხოვრება, ვერც ის შეეგუა აქაურობას და ვერც აქაურობამ შეითვისაო, ამისთვის გადაწყვეტილია ჩვენი აქედგან წასვლაო. Ლაქიას ეს ამბავი ბატონისთვის მოუხსენებია, ბატონმა თავის მეგობრებს გადასცა და აქედან შეიტყო მთელმა ქალაქმა. Ამბობენ სამოცდა ათი კასრულა და ორასი კასრულის საწმენდი ჭინჭი აქვს თურმე იმ საპატიო კაცს, რომელიც შორდება ცნობის მოყვარეობით ავსილს ქუთაისელებს. Ამას გარდა იმის მზარეულს წამოსცდენია, რომ ბატონი ყოველ დღე ბეჭა იყო აქ შეჩვეული და რუსეთში აღარ ვიცი რა ექნათ, იქ თუმცა ძროხას ბეჭიცა აქვს და თეძოცა, მაგრამ მთელად ძნელი საშოვნელია და სუკის წვადები ხომ სულ შეუძლებელი არისო.

Უკანასკნელად, სხვა ახალი ამბები Ქუთაისში ეს გახლავსთ: Ზ. ქმარს ეძებს, ქვრივი Ზ. აპირებს გათხოვებას, მაგრამ სალიანი კაცი უნდა და ამისთანა ჯერ არ საიდან სჩანს; Ტ. ფიქრობს Ნ. შერთვას—მაგრამ აქ უწმინდური Ო. გამორევია და სანამ ას თუმანს მე არ მომცემთ საქმეს არ გავათავებინებო. Რას იზამთ? Ადვოკატმა Თ. ისეთი საქმე მოუხერხა ადვოკატს Ა., რომ ქვეყანაში თავი გამოსატანად აღარ აქვს, მართალია ფული და სიმდიდრე საკმაოთ მოაგროვა ამ ნიჭიერმა კაცმა, მაგრამ სახელი კი სამუდამოთ დაკარგაო ამტკიცებს ადვოკატი Თ. Მაგრამ მოგეცა სიცოცხლე, ერთმა ყმაწვილმა გუშინ წინ ამ ენა გასლექილ კაცს სასტუმროში საქმე უყო. Ისეთი სიტყვები ეთქვა მისთვის, რომ ყველას იქ მყოფს ყურში თითი დაეცო და ბოლოს დროს გასალახავათაც მიწეული იყო. Ქალაქში ეხლა იმის ლაპარაკის მეტი არაფერია. Როგორ არა! Საშინელი შფოთი ატეხა ერთი ყმაწვილის—Ვ. უსინიდისობამ, რომელმანც თურმე ერთ სატანცაო ზალაში თამაშობის დროს სასტიკად წამოაქცია გასათხოვარი ქალი Შ. და ზედ თავზედ დაცემოდა, ძლივს ააყენეს თურმე. Ქალი-შვილებს პირი შეუთქვამთ, რომ ამ ყმაწვილთან აღარ იტანცაონ კვლავ. Ერთი ქმრიანი ქალიც კიდევ ამას წინეთ წამოექცია ერთს ცოლიან კაცს, მაგრამ ამას ყველამ გულგრილად შეხედა. Მარტო გასათხოვარ ქალებს ებრალება თავის ამხანაგი, თორემ ქმრიანებს და ქვრივებს ამისთანა რასმე გროშათ არ გაჰკვირთოო, მითხრა ჩემმა მეგობარმა. Დღეს ესეც იკმარეთ ბატონებო, და სხომისაც არ დაგწყვეტთ გულს დამიჯერეთ.

W.

---

სხვა მხრიდამ, მოეხმარებინათ თავიანთ შიმშილით დამდგარი კუჭის გასამართათა, ვიდრე გადაეყარათ მიწაში. ათის დღის ხნული მიწა ისე იმ სანახაობას წარმოადგენს, რაშიაც იყო ის ორი დღის უკან შემდეგ მოხვნისა: შავათ, სრულებით შავათ გამოიცრება ისა, ასე ეგონება ადამიანს, გუშინ გადაბრუნებიათო. ოქ ისე უხეათ განლაგეთ ყანა ანუ სხვა ბალახი, როგორც ხელის გულზედ. სწორედ აქეთსე მდგმარეობაშია ქერის ნაზვევი. არცარა მატულე იმედი ელოდება ფუტის მხრივ მის პატრონებს, თუმცა კი ამ უკანასკნელ დროში წვიმებმა ნიადაგრებით ჩაირბინეს ზედ.

ი. ნატ—ვა.

## უმალს „აბა მიცანით ვინა ვარს“.

ჩვენს ქალაქში ყოველს აქაურს მოლაინებაზედ ბეჭდვით ლაპარაკს დიდი ზედმოქმედება აქვს, როგორც მოგეხსენებათ. შეეხება საქმე კერძო პირს, თუ საზოგადო სენს, ეს სულ ერთია, ოღონდ კი ვინმე დაგიღალი იყოს და აქეთარი დარწმუნებულია, რომ ის საყოველთაო დაობის და ცნობისმოყვარეობის საგნათ შეიქნება. არსად ისე არ არის ადვილი, უცნობელი, მივარდნილი, უნიჭო და მეტრე მბლუხხელი ადამიანი უმაღლეს ხარისხზედ, შეიქნეს გმირათ, როგორც ქუთაისში. აქ თითოეულს ადამიანზედ, რომელმაც კი წერა-კითხვა იცის, შემაძლე შეეძლიათ სთქვან: „იქნება ეს კაცი ხელ ენი მახვილ მწერლათ გადაქცეს?“

ეხლა მიბრძანეთ: ბედნიერი ქვეყანა არ ყოფილა ეს ჩვენი მხარე? საბატონი არ ყოფილა ჩვენი მდგომარეობა?

მაგრამ მოუბრუნდეთ დღევანდელს ქუთაისელ „გმირს“ უ. „აბა მიცანით ვინა ვარს“, გადაეყლოთ თვალი რამდენიმე ნაწარმოები და ღრმა მისი სატირა, რომელშიაც ეს საპატიო ჩვენი ქალებს დამცირებს მეტციცების.

ის ამბობს: „რომ ქუთაისის ახალგაზდა ქალებზე უარესს წრეს კაცი აღარსად ნახავს, „პარნიან აზრის უქონლობა“, „ბაზარ ჩამული სიცოლქე“, „ბადაბორკება“, „ოსტაობა“ და ბევრი კიდევ სხვა ამისთანა თვისებები მიუცილებელი არიან ქუთაისის ახალგაზდა ქალებისთვისაო.“

მე არასოდეს არ დავმტკიცებ რომ ჩვენი ქალები იდეალნი, რომ უ. „აბა მიცანით ვინა ვარის“ გამტყუნებისაგან მათი დაფარვა მოვინდომო. ჩემი განზრახვა სულ სხვაა. მაგრამ გული არ მომითმენს თუ ერთი კითხვა არ მიეცე უ. პასკვილის ავტორს: განა შესაძლებელია ამდენი სიბინძური და ამ სიდიდე სულის გარყვნა ახალგაზდა ადამიანებში არ ეწინააღმდეგება ეთიმ თითონ ნორჩი ბუნება, ხანდ-აუკვეთელი და თითქმის ცხოვრების უცნობი არსება მზგავსი ბრალდებაში? ეს უნდა გეფიქრნათ უ-ლო „აბა მიცანით ვინა ვარს“, რადგანაც ალაფარევეთ ქუთაისელი ახალგაზდების გასაქაარწყლებლად. შედა გულოდნით, რომ ცხვარის მგლის დაუნდობლობა რომ შეგეშინა და მგელმა—ლომის ძლიერება, არა ვინ დაეჯერებეთ. მაგრამ ამას რას დაგაფონ! თქვენ ისრულით შეიდინით ისარი და ის კი აღარ გაგიზმანია, ეს ისარი თქვენ მტრის გულს გაამობა, თუ თქვენს პატიოსნებას!

ჩვენი ქალების წრე, შესამლებელია, უნუგეშო სურათს წარმოადგენდეს ამ საყოველთაო დაცემულობის და სულის სიმდაბლის დროს, მაგრამ ვინა არის ამაში დამნაშავე? შინ დამდე, ან ვინ ამგვარებს იმ მდგომარეობას, რომელიც საზოგადოებას ასე ამცირებს და სვრის, ჩემო ბატონო?—თქვენ და თქვენი წრის ადამიანები! თქვენ, რომელიც ლიბერალობთ მაგრამ რომელსაც წელის ხრით, უფროსებთან ლრეჯით, ქალაჩუნობით, ენის თრევით კაცის ნიშანი აღარ გემჩნევათ სახეზედ.

ახალგაზდა ქალებს არსად არ ჰქონია, ვგონებ ცივილიზატორის როლი, არსად არ ყოფილან ისინი ახალგაზდობაზედ წარჩინებულნი. იმიტომ კი არა, რომ ეს მათი ნიჭის საქმე არ ყოფილიყოს, არამედ ჯერ თითქმის ყოველგან ს ა ო ჯ ა ხ ო თ უმზერენ დედაკაცს; საზოგადოება არ აძლევს ქალს არც განათლებას, არც სხვა რამ საშუალებას პატიოსნათ ლუკმის საშოვნელად: საზოგადოება უხსტავს ქალს ყოველს ასპარეზს, უსპობს უფლებას, აჭრის ფრთებს, რომ რა არის დაუშალოს იმას აღმაღლება, გათანასწორება თავის თავთან. დღეს დედაკაცი შებორკილია უსამართლო წყობილებისგან, ის იძულებულია დაემწყვდიოს სახლში თავის კერიასთან და მარტო კაბებზედ და იუბკებზედ ილაპარაკოს, იმოქმედოს. თქვენ კი ბატონო, „აბა მიცანით ვინა ვარ“ თქვენის უმეცრების გამო გეგონოსთ იქნება, რომ ქალები საკუთარი ნებით, გარემოების დამოუკიდებელად ჩავარდნილან ეხლანდელ უაზრო მდგომარეობაში?!..

მაგრამ მიპასუხეთ: განა უკეთესს სურათს წარმოგვიდგენს ჩვენი ახალგაზდობა გარდა მცირე რიცხვისა? ნაკლებათ არიან ვითომ სულ მდაბალნი? ნაკლებათ ჰგვანან ისინი პირუტყვებს? განა მომეტებულად ბაწარ-აუხსნელი და საკუთარი აზრის მექონნი არიან ისინი? განა უმეტესს თავმოყვარეობას და კეთილშობილურ გრძნობებს იპოვნით თქვენ ამ წრეში? ბრძანეთ აბა. მაგრამ ამ კითხვების დასახსნელი ტვინი თქვენ ვინ მოგცათ უ. „აბა მიცანით ვინა ვარ“! რა გაეწყობა, გეტყვით, მხოლოდ იმ პირობით, რომ გრძელი და გაქლესილი ენა თქვენი კვლავ აღარ აამუსიკოთ.

ქალებს თითონ გარემოების წყალობით არ შეუძლიანთ ისე გარყვნილი და დაცემული იყვნენ, როგორც კაცები. ქალებს რა შემთხვევა, რა ასპარეზი, რა შეხვედრა აქვსთ საქვეყნო საქმეებში, რომ ისინი იძულებულ იყვნენ იმ ხარისხამდე ამტვრიონ და ამახინჯონ თავის ბუნება საზოგადო მოთხოვნილებისგამო, როგორც კაცები? ზოგიერთს თანამდებობის შოვნაზედ რომ სიწამხდრე და დაგლახაკება შეხვდება, ამის მზგავსი ქალი რას ნახავს? ერთი ჩინის ან ერთი ჯვარის საშოვნელად რომ კაცი საქმეებს იკადრებს, ის მარტო გადასწონიდა ყველა ქალების ცოდვას.

მე სრულიად ამ ლაპარაკით განხეთქილების შემოტანა არ მსურს ქალებსა და კაცებს შუა, დამიფაროს ღმერთმა! მე მხოლოდ მინდოდა მეჩვენებინა თქვენთვის, რომ ქალების დაცემა და დამახინჯება განსხვავებული მაგალითი არ გახლავს ჩვენს საზოგადოებაში. სენი საყოველთაოა და იმის შესადარი მკურნალობაც არის საჭირო. თქვენ კი გამოგიგდიათ ენა უ. „აბა მიცანით ვინა ვარ“ და სტუქსავთ ნაკლებათ დანაშაულს ახალგაზდა ქალების წრეს! თუ ადელვება შეგიძლიათ, თუ კეთილშობილი გრძნობები გიღვივისთ გულში, თუ დამცირება გაწუხებსთ, თუ კეთილის მოტანა გსურსთ,—სამათრახო და სადქვენელი საგნები, მოვლინებანი, პირნი ბევრი გახლავსთ. თორემ, ეს თქვენი ფილიპიკა ჩვენ ერთი მწყემსთ მთავრის საქციელს გვაგონებს, რომელიც ქალების იუბკებზედ და ფერ-უმარილზედ ჰქადაგობდა.

„ყვავი თუ ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია“.

ზულდანდობილმა „დროებამ“ მასპინძლურად მიიღო თქვენი ნაჯღაბნი და ეხლა თქვენ დიდი მორალისტი გეგონოსთ იქნება თქვენი თავი?!... კაი ხუმრობაა!

„პი გიცანი.

ქ. ქუთაისი, 15 ივნისს 1874 წ.

## ორიოდე სიტყვა სვანეთის კორრესპონდენციაზე.

ამ დღეებში მიღებულს „დროების“ 412 №-ში წავიკითხე სტატია ლაზარე დადეშანიძე სვანეთის მღვდლების შესახებ. ძლიერ ვსწუხვარ, რომ უნდა დავსწერო რამოდენიმე სიტყვა ამ სტატიის გამოისობით, რომელიც ავსილია სიცრუით და ცილის-წამებით.

შეუდგები რა დადეშანის სტატიის გარჩევას, ვიტყვი: ჭეშმარიტად ძნელი მოსაკვეთია ის ჩვეულება, რომელსაც კაცი სიყმაწვილიდამ შესჩვევია, ხოლო ხალხს, რომელსაც რამოდენიმე წლის კი არა საუკუნის განმავლობაში რომელიმე ჩვეულება მიუღია და თითქმის ძვალსა და რბილში გასჯდომია, მისი მოკვეთა, რასაკვირველია უფრო ძნელი იქნება. ამგვარად სვანებს დიდის ხნიდგანავე აქვსთ ჩვეულებად მიღებული პირმოთნეობა, სიცრუე, შურისგება, ძვრის ხსენება, დაუნდობლობა, სიკეთის არ მოხსენება და სხვ. კორრესპონდენტი კი აყვედრის სვანეთის მღვდლებს, რომ სვანები ფრანცუზებსავით და ამერიკელებსავით ვერ გაუნათლებიათ რვა წლის განმავლობაში. დადეშანი მოგვითხრობს: ყოვლად სამღვდელოს მოგზაურობამ ბევრი ცვლილებები მოახდინაო, მაგრამ იმით კი ბედნიერი არ გვყოფს, თუ რას უწოდებს ცვლილებას სვანები მისის უსამღვდელოესობის მობრძანების დიდი მოხარულნი იყვნენო და ემზადებოდენ ყოველივე მისი ბრძანება აღესრულებიათო. დადეშანო, თუ ეს ასეა, ვინ მოამზადა სვანები, რომ ასე სიხარულით მიეღოთ მღვდელთ-მთავარი და ყოველივე მისი დარიგება კეთილად შეეწყნარებინათ—თუ არ მღვდლებმა?—მღვდელთ-მთავრის ყურადღება მიქცეული იყო მარტო იმ პირებზედ, რომელთაც ორ-ორი ცოლი ყავნდათო. აქედამ გამოდის, რომ მღვდელთ-მთავარს სხვაზედ არასფერზედ ყურადღება არ მიუქცევია და არც სხვა საქმე ჰქონია. მაგრამ აქ შემცდარი აზრია. ყოვლად სამღვდელოს, რასაკვირველია, სხვა მწყემსთ-მთავრულ დარიგებასთან სვანების დედაკაცების ბინძურ ცხოვრებაზედ, ნათესაობის აღრევაზედ, გაცვლილებზედ და ორ ცოლიანებზედაც უნდა ელაპარაკნა; მაგრამ როგორც დადეშანი ამბობს, ყოვლად სამღვდელო ძალდატანებით მოქმედებას უბძანებდა ხალხსაო, ეს სიცრუეა, მას ამგვარი საშუალება არ უხმარია და არც მისი ვალი იყო; ხოლო პრისტავი რასაც მოქმედებდა, მას ბრძანება ჰქონდა თავის მთავრობისაგან, აი ამ ნაირად: ერთი წლის წინეთ ეპისკოპოსის სვანეთში მობრძანებამდინ მე მოეხსენე ოფიციალურად ორ-ცოლიანებზედ, გაცვლილებზედ და სხვა უწესოებაზედ, რაც სასულიერო მთავრობისაგან განრჩევას ეხებოდა. მან (ეპისკოპოსმა) საერო მთავრობას სთხოვა, შემწეობა მიეცა სამღვდელოებისათვის მოსასპობელად ამგვართა უწესებათა, ეს საქმე სხვა მიზეზით გაჩერდა. პრისტავი მღვდლებს სთხოვდა ეჩვენებინათ, ვინ ვის უნდა მოშორებოდა. მღვდლებმა ამისი განრჩევა თავის თავზედ ვერ მიიღო და ამისგამო გარდიდო მის მობრძანებამდინ. მობრძანდა თუ არა, მან განარჩია, ზოგს მღვდელთ-მთავრული შენდობა მისცა, ზოგის მოშორება ბრძანა და ზოგს კიდევ სხვა იმედი მისცა. მე მაინც ყოველ შემთხვევაში უნდა ვსთქვა, რასაც ამ მოქმედებიდამ მოველოდი ის რეზულტატი არ გამოვიდა.... დადეშანი ბრძანებს, „თუმცა სვანები სისწრაფით ასრულებდენ ბრძანებასო, გარნა დიდი უბედურება და ტირილი მოყვა ამ საქმესაო. მაგრამ ეს დადეშანის ფანტაზია არის. ეს პირველი გაგონება არ იყო სვანებისგან, რომ ორი ცოლი უჯეროა და გაცვლილობა არ უნდა იყოს და კიდევაც სხომისაც მომხდარა პრისტავისაგან ამ გვარი მოქმედება და განსაკუთრებით იმ პირზედ, რომელსაც დადეშანი აახელებს. ერთ ოჯახში სამი ქალი იყო ნატაცებიო, სამი სიცრუეა და რაც იყო ის წინეთაც ჩამოართვა პრისტავმა და უკანასკნელს 1869 წელში გუბერნატორის მყოფობის დროს, როგორც იმას, ისე ზოგიერთ სხვებსაც წაერთვა, მაგრამ ისევ დაიბრუნეს, როგორც.... მაშასადამე არავისთვის განსაკვირვებელი და შესაკრთომელი არ ყოფილა და არც არავის თვალთაგან ცრემლი გადმოვარდნია. თუმცა უარს [illegible] იმასაც ვერაგობით, განა [illegible] თავის მოძმეების ვერაგობით? დადეშანი ამბობს, „სვანები ბრიყვია, და ვერას გებულობენ და ამ გვარი მათი მდგომარეობით მღვდლები ხეირხიანათ სარგებლობენ, რადგანაც იმედი აქვსთ, რომ მთავრობას მათზედ ვერავინ ვერას აცნობებსო“. დადეშანო, ვისლა დასარიგებლად წამოისროლე ეს გაცვეთილი სიმართლე, ოდეს და რაში შეამჩნიე სვანეთის მღვდლებს, რომ წესიერების დამრღვეველი, რომელიმე მღვდლის შეხვდომილი დანაშაულობა და ურიგოთ ქცევა მთავრობას არ შეატყობინეს, ანუ სვანების საჩივარი მათზედ არ განარჩიეს? აქ-ით რა გინდა? გსურს ვისმე რამე ავნო? ან ის გინდ, აქ იყო და კლიაუზობა და საჩივარი ასწავლო ხალხს, ეს გასაკვირვებელი არ არის.... კორრესპონდენტი ღაღადებს, „მღვდლების ზრუნვა და შფოთვა მარტო იმაზედ არის მიქცეული, ჯამაგირი როდის მიიღონ და მუკელი გაიძღონ, ისინი არ ეძებენ, სვანებია მათ სახსოვარი აუგონო“. დადეშანო, როდესაც ამ უხეირო შენიშვნას სწერდი, რა გქონდა სახეში, გაქვს ამისი დამამტკიცებელი საბუთი? მე ვიცი, ამას თუ ვინმე მოეთხოვდა შენგან აზრშიაც არ მოგვსვლია, არამედ რაც ენაზედ მოგვარდნია ის გიწერია. შენი ამ გვარი შესხმა სამღვდელოებაზედ ის კი არ არის, რომ შენ გულმტკივნეული იყო სვანების მდგომარეობაზედ, არამედ არის მიმართული შურზედ. აბა ჩაიხედე შენს გულში თუ ტყუილია, მე ღმერთმან დამიფაროს სიცრუვისაგან: როდესაც მე ერთი საქმისათვის შენ გაყვედრე და საკმაოდ დაგარიგე და ის საქმეც გაპატიეე, მადლობა მერგებოდა კეთილის გულის პატრონისაგან; ხოლო შენ როგორც სვანი კეთილის არმომხსენე მადლობის მაგივრად ამბობ, მღვდლებს მაყურებელი არ ჰყავსო, კიდევ ამბობს უფ. დადეშანი, რომ ას და ორას სვანში სამმა არ იცის პირჯვარის გამოსახვაო. ერთი რომ ეს სიცრუეა, მეორე შეიძლება ასში სამმა არ იცოდეს—ეს არაფერი გასაკვირველია, რადგანაც უფრო დიდი ხნით ქრისტიანებშიაც არიან იმისთანაები, რომ კანონიერი ჯვარის გამოსახვა არ იციან. რამოდენიმე სვანმა რომ ჯვარის გამოსახვა არ იცოდეს, ამაში მღვდლები კი არ არიან განსაკიცხავი, თვითონ სვანები,—მოუხრელი აგებულობის გამო არ შეუძლიათ დაისწავლონ, ეს მე თვითონ გამოცდილებით ვიცი. მღვდლები რომ კეთილად იქცევიან და თავ-დაუზოგველად შრომობენ, ამის დასამტკიცებელად მოგიყვან თვით მღვდელთ-მთავრის სიტყვებს, რომელმაც ბრძანა 1865 წელში სვანეთში მყოფობის დროს: „მადლობა ღმერთს, სვანეთში კარგი მღვდლები ყოფილანო“. ხოლო წარსულის წლის მღვდლების მოქმედების განხილვას რაიცა შეეხება, თუ რამოდენათ კმაყოფილი დარჩა ყოვლად სამღვდელო, ამაზედ მე არას ვიტყვი, ამას დაინახავს მკითხველი მისი ანგარიშიდამ, რომელიც მოკლეს დროში ბეჭდიდამ გამოვა. რამოდენათ ყოვლად სამღვდელოს ანგარიში უფრო დასაჯერია, ვიდრე დადეშანოს უაზრო შენიშვნა, ამაზედ მსჯელობა მკითხველისათვის მიმინდვია. დადეშანის სტატიაზედ ბევრი სალაპარაკო მაქვს, მაგრამ ჩემი სიტყვები ერთობ გავრცელდა, მეშინია, ვაი თუ სივრცის გამო ადგილი არ მიეცეს გაზეთში, ამისთვის ძალა უნებურად თავი უნდა დავანებო დრომდინ.

დადეშანს მაინც კათეგორიულად მოვსთხოვ აი რას: 1-დ მან უნდა სთქვას და დაამტკიცოს რომელი მღვდელებისაგან გაიგონა, რომ ნეტავი ჯამაგირი მივიღო, თორემ სვანებმა გინდა კისერი იტეხონ, გინდა წყალში ჩაცვივდენო. 2-დ როდის და რაში შეამჩნია მღვდლების მეუფროსე, რომ სვანების მღვდლებზედ საჩივარი არ განარჩია და ან მღვდლების ურიგო ქცევა მთავრობას არ აცნობა.

შუანელი ბ.....

ტყაბედნიერი
ენგურის ხეობა,
15 აპრილს 1874 წ.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი.

— ნაციონალურ კრებაში კაზიმირ პერიემ შეიტანა წინადადება, რომ რესპუბლიკური მართებლობა დაწესდეს; ეს წინადადება მიუღლიათ ოთხი ხმის უმეტესობით. შემდეგ ლაროშფუკო ბიზზაჩიამ შეიტანა თავისი წინადადება, რომლითაც სურდა მონარხიუ-

ლი მართებლობა დაეწყესებინა, მაგრამ იმ წამსვე სიცილი და ვაი-ვაგლახი ამტყდარა კრებაში. მეტი სისუსტე არასოდეს არ გამოსჩენიათ მონარხიელებს და რასაკვირველია რომ კრებამ არ მიიღო მისი წინადადება.

---

— იმ დღეს, როცა ბონაპარტელებს გამბეტას გალახვა ნდომებიათ იმათსა და რესპუბლიკელებსშუა გაცხარებული ცილება ატყდა, ისრე რომ საქმემ დუელებზედაც მიაწია. კლემანსომ გამოითხოვა დუელში ბონაპარტისტი კასანიაკი. სეკუნდანტებმა შელხერმა და ტესტელენმა განუცხადეს ეგრეთვე კასანიაკს, რომ „Pays“ თანამშრომელები ყველანი დუელში გამოწვეულათ უნდა სთვლიდენ თავის თავს რესპუბლიკელებისგანო.

---

—გაზეთები „Pays“ “Rappel“ და „XIX Siécle“ მართებლობის განკარგულებით აღკრძალულია ორი კვირის ვადით.

---

— კასსანიაკმა დუელში გამოსვლის უარი სთქვა. ამის თაობაზე კლემანსომ დაბეჭდა წერილი, რომელშიაც სწერს, რომ მე ძრიელ ვსწუხვარ, რომ დიდი პატივისცემა გალირსეთ და განსაჯოს საზოგადოებამ თქვენი საქციელიო.

---

— სინ პრუასათვის, რომელმანც მუშტი კრა გამბეტას, სამსაჯულოს გადუწყვეტია ექვსი თვით ციხეში დამწყვდევა.

---

— მარცხენა მხარის დეპუტატმა ჟირარმა მოსთხოვა მართებლობას პასუხი შესახებ იმ დოკუმენტისა, რომელიც ეპოვნათ ვაგონში. ამ დოკუმენტისაგან სჩანს, რომ ბონაპარტელებს შეუდგენია შეთქმულობა, და ცდილობენ მისი მომხრე დეპუტატები ამოირჩიონ დეპარტამენტებში. სხვათაშორის ამ საზოგადოებას დიდი გავლენა ქონია ბურგონის ამორჩევაში.

ამ საქმეზედ ეხლა გამოძიებაა დანიშნული.

---

პარიჟი, 9 ივნისს 1874 წ.

ერთი დრო იყო, ყველა, ვისაც კი თავისუფალი დრო და მომეტებული ფულები აწუხებდა, ყველა, ვისაც ქეიფიანად დროს გატარება და ფულების შეჭმა უნდოდა, ყველა აქ, პარიჟში, მოდიოდა და, რასაკვირველია, ერთსაც და მეორესაც მალე ახერხებდა. პარიჟის თეატრები, ბალები, მასკარადები, ბულონის ტყე, ელისეს მინდორი და განსაკუთრებით აქაური კოკოტკები— ისეთი საგნებია, რომელიც ფულიან და უ-საქმო კაცს არა თუ თითქმის მუდამ მიიზიდავს, ხშირად კიდეც ჩაჰყლაპავს და მოინელებს ხოლმე...

×

ამ თვისებით ყველაზე უფრო განთქმული იყო პარიჟი ნაპოლეონის იმპერიის დროს. ქეიფით, სიგიჟით იქცევდა ნაპოლეონი ხალხს იმისთვის, რომ უფრო ადვილად აეხვია თვალები ამ ხალხისათვის, რომ გართულს, ქეიფში სულ წასულ ხალხს მმართებლობაზე ყურადღება არ მიექცია და თავისუფლება არ მოეთხოვა. როგორც ბევრი სხვა ოინი, ისე ესეც გვარიანად შეასრულა: ოცდა ორი წლის განმავალობაში ხალხი თითქო მართლა დაბრმავებულივით შესცქეროდა პარიჟის ქეიფს, გაუწყნარებელ ბალებს, ბრწყინვალე მეჯლიშებს და თითქო ეგონა, რომ საფრანგეთი ბედნიერი, უბედნიერესი ქვეყანა არისო. თითქო ვერ ამჩნევდა, რომ ამ ბრწყინვალე მეჯლიშებსა და გიჟურ ქეიფებს ერთის მხრით შეუბრალებელი, განუკითხავი დესპოტიზმი ჰფარავდა და მეორეს მხრით ხალხის სისაწყლე....

უკანასკნელმა ომმა გამოაჭყეტინა ყველას თვალები და დაუმტკიცა, როგორი უფსკრულისაკენ მიჰყავდა ნაპოლეონს ხალხი; ყველას დაუმტკიცა ისიც, რომ ხალხის თვალის ახვევა, განსაკუთრებით ისეთი ცხოველი და მხნე ხალხის, როგორიც საფრანგეთის ხალხია, მხოლოდ დროებით შეიძლება და არა დიდი ხნითა.

×

ეხლა, თუმცა ნაპოლეონი ველარავის წააქეზებს, თუმცა იმის ერთ დროს ბრწყინვალე, და ეხლა გადამწვარ, ტიუილრის სასახლეს სხვა და სხვა ხელმწიფეები და იმათი მემკვიდრეები ველარ ეწვევიან, თუმცა ხელმწიფეების შვილები პარიჟის სალონებს, თეატრებს, ბალებს და მასკარადებს აღარ ამშვენებენ, მაგრამ შეჩვეული ხალხი მაინც თავისას არ იშლის, მაინც კიდევ გვარიანად ქეიფობს; მდიდარი ინგლისელები, ესპანიელები, ამერიკელები, რუსები ბერლინში კი არ მიდიან დროს გასატარებლად, მაინც კიდევ აქ, პარიჟში, მოდიან, რადგან არც ერთ ევროპის ქალაქში არ შეიძლება ისე ლამაზათ, ადვილად და სიამოვნებით დროების გატარება და თან ჯიბეების შემსუბუქება, როგორც აქ.

×

პარიჟში ორმოცზედ მეტი თეატრია, სადაც ყოველ დღე სხვა და სხვა წარმოდგენებია; უანგარიშო კაფე-შანტანებია, ე. ი. ისეთი ყავახანები, სადაც სცენაა გამართული და იმღერიან და პატარა, სამასხარო ვოდევილებს არდგენენ; სამასზე მეტი ისეთი ზალაა, სადაც ბალები იმართება ხოლმე. ამას გარდა ოპერები, ცირკები, ბალ-მასკები, და სხვა მრავალთ უმრავლესი დროს გასატარებელი ალაგები,—და ყველა ესენი თითქმის მუდამ გატენილია ხალხითა.

ამ მოქეიფე ხალხში აქ თითქმის ყოველთვის ყოველგან უმთავრესი ალაგი პარიჟელებს კი არა, უცხო ქვეყნელებს უჭირავს. ესპანიელები უფრო ხშირად ოპერაში დაიარებიან, რუსები თეატრებში (Gaité თეატრი, სადაც ოფენბახის პიესებს თამაშობენ, ძალიან უყვართ), რუმინები, რომელნიც ძლიერ მრავალნი არიან, დილიდამ საღამომდი ყავახანებში ყრილან, ინგლისელები, საკვირველებაა! ზნეობიანი, ბრძენი, ამაყი ინგლისელები ერთს ისეთს ბალს და ბალ-მასკეს არ გამოუშვებენ, სადაც ჩვეულობრივად მსუბუქი ყოფა ქცევის ქალები სხეულის კვლაკვნაში ვარჯიშობენ. უნდა უყუროთ — როგორი ხარბი და მშიერი თვალებით შეჩერებიან ესენი გიჟურ კანკანის თამაშობას, როგორის თითქო არქიტექტორული ცნობის მოყვარებით შეჩერებიან მოთამაშე პარიჟელ ქალს, რომელიც ფეხის წვერით სისწრაფით გადააგდებს თავის კავალერის შლიაპას!

×

თვითონ პარიჟელი?... ბუნებისაგან მხიარული ხასიათით შემკულ პარიჟელს ყოველ-გვარი ქეიფი უყვარს. ყველას მუზიკა ესმის, ცოტათ თუ ბევრად, და მაშა სადამე ოპერა უყვარს; უთეატროთ ფრანცუზს ისე არ შეუძლია გაძლება, როგორც თევზს უწყლოთ, ან კიდევ უკეთ ვთქვათ კახელ თავადი-შვილს ულვინოთ და იმერელს უმიმინოთ; ყავახანებში ის გაზეთებს ჰკითხულობს და ისვენებს; თამაშობა უყვარს, „ბულიეს“ და „მაბილის“ ბალებზე სიამოვნებით დაიარება; ტყეში ხანდისხან თავის შეძლებას აგებს.

ჩვენში აუცილებელი კუთვნილება ყოველი ქეიფისა ყოველთვის სმა და ჭამაა. რა ქეიფია ქართველი კაცისთვის ის ქეიფი, თუ კარგათ არ გამოძღა, თუ ძროხის ცალი ბეჭი მაინც არ შეჭამა და ერთი ლოქი კარგი ღვინო მაინც თუ არ გამოცალა. აქ ჭამასა და სმას ქეიფისათვის თითქმის უკანასკნელი ალაგი უჭირავს. მხოლოთ ინგლისელებმა და რუსებმა იციან აქ სადილ-ვახშამითა და შამპანის ღვინით გაქეიფებება. ნამდვილი ფრანცუზი კი მხოლოთ მაშინ ქეიფობს, როდესაც თავის ტოლ-ამხანაგებშია ერთად, როდესაც თავის დულცინეია გვერდში ჰყავს, როდესაც თამაშობას, ან სხვის თამაშს უყურებს და ყველაზე უფრო მაშინ, როდესაც ის და იმის ამხანაგები მასხარობენ და მახვილობენ; და მე არა მგონია, რომ დედამიწაზე მეორე ისეთი მხიარული, მასხარა, მახვილი, მომსწრები სიტყვის პატრონი ხალხი მოიძებნებოდეს, როგორც ფრანცუზის ხალხია.

×

ამ შესანიშნავ ნიჭთან, რომლითაც საფრანგეთის ხალხი ასე უხვათ არის შემკული, ბუნებას იმისთვის ბედნიერი ხასიათიც მიუცია. ამას ის გვიმტკიცებს, რომ ეხლა, როდესაც ამას ამდენი უბედურება და განსაცდელი ერთად მიადგა, ისეთი უბედურება, რომელსაც ბევრი სხვა ხალხი, უეჭველია, ვერ გაუძლებდა, ეხლაც მხნედ არის, ახლაც არ დავარდნილა, ეხლაც მარჯვეთ დგას ფეხებზე, ეხლაც ქეიფობს,—და ეს ქეიფი იმას არც კერძოთ თავისთვის, არც თავის სამშობლოსთვის, და არც მთელი კაცობრიობისთვის შრომას და ზრუნვას არ უშლის.

ბედნიერი ხალხია! მუდამ ცხოველი, მუდამ მხნე!

ს. მესხი.

---

# ნარევი

— ეხლა გერმანიულს ენაზედ 3,895 გაზეთი გამოდის. ამათგან 46 გაზეთი კვირაში შვიდზედ უფრო მეტჯერ იბეჭდება, 80 კვირაში შვიდჯერ გამოდის, 460—ექვსჯერ და 3,299 ექვსზედ უფრო ნაკლებ. ამ 3895 გაზეთისაგან 3,398 თვითონ გერმანიის სახელმწიფოში იბეჭდება, 213 სხვა ქვეყნებში, სადაც კი გერმანიელი ხალხი არის, მაგრამ უმრავლესი შვეიცარიაში გამოდის. გერმანიაში კითხულობენ 779 ფრანცუზულ გაზეთს, 586 ინგლისურს, 146 იტალიანურს 25 ჰოლლანდიურს, 57 რუსულს და 65 სვედურს.

— ჩინეთში ინგლისელი ვაჭრები რკინის გზას აკეთებენო. თუმცა ჩინეთის მართებლობას ძალიან ეშინიან ევროპიელების ქვეყნიდრად ჩასახლების, მაგრამ ეს ვაჭრები მაინც დაიმედებული არიან, რომ მართებლობა ამ გზის გაყვანას ვერ დაუშლის, რადგანაც საგზო მიწები კანონიერად შედგენილი ნასყიდობის ძალით დაუსაკუთრებიათ.

— ერთ ექიმს ახალი ცოფიანობის წამლობა მოუნახავს. ეს წამალი ორთქლის აბანოა. ცოფიანის პირუტყვისაგან ნაკბენი კაცი ერთი კვირის განმავალობაში დღეში ერთჯერ ისეთ აბანოში უნდა შეიყვანონ, სადაც 46-დგან 50 გრადუსამდის სიცხე იყოს. თუ ავათმყოფს ცოფიანობა გამოჩენილი აქვს, მაშინ იმას მარტო ერთჯერ აბანოში შესვლაც ეყოფა, მაგრამ ნაბანოევს მორჩენამდის ავათმყოფი ცალკე ოთახში უნდა დააწვინონ.

— ავსტრიის იმპერიაში ამ ჟამად 935 გაზეთი და ჟურნალი იბეჭდება, რომელთაგან 359 პოლიტიკურია. აქედამ 683 გერმანიულ ენაზედ გამოდის, 110 ჩეხურს ენაზედ, 50—პოლშურზედ, 14—სლავიანურზედ, 11—რუსულზედ, 4—ილლირიულზედ, 43—იტალიურზედ, 5 ფრანცუზულზედ და 2 ბერძნულზედ. ვენგრიულს, რუმინულ და ინგლისურს ენაზედ—თითო თითო და 10 —ებრაულზედ.

— კალიფორნიაში ერთი გასაოცარი ვაზი ყოფილა, რომელზედაც სამი ურემი ყურძენი ჩამოდის ყოველ წლობით. თითო მწიფე მტევანი ორს-სამს გირვანქას იწონს. ეს ვაზი ძალლობზედ არის გაშენებული. ქვეით ჩაუვლის მდინარე, რომელსაც ჰფიქრობენ უნდა ჰქონდეს დიდი გავლენა. ეხლა ორმოცი წლისა არის ეს ვაზი და იმისი ღერი იგრგვლივ ორი ალაბი იქნება თურმე.

— როტერდამში ათასი წიგნი მისულა როშფორის სახელზედ, როდესაც გაუგიათ რომ ეს მწერალი იქ აპირებს თავის „ფარნის“ გამოცემას. 990 მეტი სხვა და სხვა მთელი ცასქვეშეთის მესტამბეებისგან და წიგნების გამყიდველებისგან ყოფილა გამოგზავნილი. თითოეული ამათგანი სთხოვს როშფორს ნებას, რომ „ფარნის“ გამომცემელი ის იქნეს.

— პირველად გამოუცდიათ დრეზდენში მძორის დაწვა. ეს ყოფილა ცხენი, სიმძიმით 202გირვანქა. აქედგან ორი საათის განმავალობაში მარტო 16 გირვანქა ნაცარი დაცვენილა, სხვა კი აღარაფერი დარჩენილა. აქედგან გამოუყვანიათ, რომ კაცის გვამის დასაწველად ერთი საათი და მეოთხედი ძალიან საკმაო არისო. ამის შემდეგ პროფესორი რეკლამი წასულა, შვეიცარიაში საქადაგებლად, რომ იქაურს ხალხს მკვდრების დაწვა შემოაღებინოს.

---

# მწერლობა.

თვით მასწავლებელი რუსული ენისა ქართული ენის შემწეობით ქართველთა ყრმათა, შედგენილი გაბო ტერ-გაბრიელიანცისაგან. თფილისი 1874 წ.

---

წარსულ ნომერში ჩვენ გაკვრით ვახსენეთ უფ. ტერ-გაბრიელიანცის „თვით მასწავლებელი რუსული ენისა.“ ჩვენ გვეგონა რომ ამ წიგნზე ბევრი ბაასი და ყიყინი არ არის საჭირო. მაგრამ როგორც ეტყობა ბევრი ისრეთი მკითხველები ყავს ჩვენს გაზეთს რომ, თუ იმათ ყოველი სიტყვა კარგათ დაღეჭილი არ მიართვი უმისოთ ვერ გაიგებენ. თვითონ ტერგაბრიელიანცი გამოტეხით ამბობს თავის წინასიტყვაობაში, რომ „თუმცა მკითხველი ამ პატარა წიგნში შეხვდება ბევრს ნაკლულევანებას“..., „მე აღარ მივხედე იმ ნაკლულევანებას და გავბედე გამოცემა ამ წიგნისა, იმედითა მით, რომ პატიოსანნი მკითხველნი სასტიკათ არ შევლენ ამ წიგნის ნაკლულევანების გარჩევაშია, არამედ სიყვარულით დაჰფარვენ ყველა ამასა, და მით მამცემენ გაბედულებასა მეორე ამ გვარისავე წიგნის გამოცემას“...

როგორც ხედავთ აქ საზოგადო სარგებლობის სურვილი ერთი დრამიც არ მოიძებნება, მაგივრად აქ ფულის ანგარიში ანუ რაიმე ჯილდოს მიღება კარგა ოსტატურათ არის წაფარებული, ვითომც ის მიტომ შრომობს, რომ ეგებ ამ წიგნით ცოტა გაუადვილოს რუსული ენის შეთვისება ამ გაჭირვებულს ხალხს, რომელსაც სწავლა სურს და წიგნი კი არ აქვს. როგორ ბანზე აგდებს მუსაიფს! არა, უფ. ტერგაბრიელიანცო, თქვენ გეგონათ სახელმძღვანელოს შედგენა ჩითის ან არაყის ვაჭრობა იყოს. არა? დღეს ჰაგნაირ ხერხებს ძოელო ბოლო, ეხლა ხალხსაც რამდენიც არის თვალი აეხილა და ისე როდის მოტყუვდება.

უფ. ტერგაბრიელიანცს ასრე გონებია, რომ თუ რუსული ასოები დააწყო მწკრივად და ქვეშ მოუწერა, გლავა პერვაია, გლავა ვტორაია, მეტი არაფერია საჭირო, რომ ეს უცხო ენა შეისწავლოს ჩვენმა ხალხმა. ამდენი სხვა და სხვა შრიფტის ასოები სად გამონახა, არ მიკვირს. მე კარგათ ვიცი, რომ აქაური ტიპოგრაფიები ძრიელ ღარიბნი არიან შრიფტებით, ტერ-გაბრიელიანცს კი ცხრა შრიფტი უხმარია.

ასრე სჭირს ყოველს უმეცარს მშრომელს. უფ. ტერ-გაბრიელიანცს სურდა „თვით მასწავლებელი“ დაეწერა, გამოუვიდა რუსული ანბანების კრება. ყოველს რუსულს ასოს უწერს ქვეშ ქართულს ასოებს, თითქოს ამით სურს რუსული ასოების გამოთქმა ახსნას, მაგრამ გამოდის რა: Цапля ქვეშ სწერს „ცაპლია“ —ფრინველი, сумерки (სუმერკი)—ბინდი, Алое (ალოე) —ალისფრად.....

ერთი სიტყვით თუ მივყვევით ამის რიგიანათ გარჩევას, ვაი შენ მტერს, როგორც ჩვენ მკითხველს თავს მოვაბეზრებთ. აქ ერთი სიტყვა არ მოიძებნება, რომ უწესოდ არიყოს ნახმარი. აურევია, დაურევია თვითონაც არ იცის რა. პირველი, რომ მას რუსული ენა არ სცოდნია, ქართულის ცოდნა ღმერთმა შეინახოს. ის არ სჯობდა არ ეხმარა იმისთანა სიტყვები, რომელთაც აზრი იმას არ ესმოდა, ან რომელთაც შეუცდომელად ვერ დასწერდა, მაგრამ არა, ის ამბობს, „რითიც მდიდარი ვარ, მით მიხარისო“.

ამის ლოღიკას თუ მივყვეთ, შენ მტერს, როგორც უფ. ტერ-გაბრიელიანცი თავს აიშვებს და ვინ იცის, რა სიძვირესაც არ გვიჩვენებს.

„არა მკითხე მოანბეო მიტყუე და მიაგდეო“. არა, რა სჯის ამ სრულიად უმეცარ კაცს, რომ ჩვენთვის ცდილობს, ნუ თუ ჩითის ვაჭრობა გაუჭირვებია და ამით უნდა ჯილდო დაიმსახუროს?

ვინ ეხვეწება თავი გაიწიროს ჩვენთვის, თავის ოჯახშიაც ბევრი საქმე აქვს გასარიგებელი. თუ არ იცის, საქმის რიგიანათ ხელის მოკიდება, დაჯდეს თავის ქოხში და მატყლი ჩეჩოს, ის არა სჯობია, ვიდრე თავის უმეცრებით სხვას ამდენი ზიანი მისცეს.

N

---

# განცხადებანი


ქალაქს თფილისში,
სემინარიას ქვეშ სარდაფში იყიდება
ნამდვილი ბუნებითი
კახური ღვინოები
თ. რ. და ი. ერისთავებისა
და სხვა კახეთის მემამულეთა ვენახებისა
თვითოული ბოთლის ფასი
ერთის აბაზიდგან მანეთ ნახევრამდის.

---

ნაფიცი ვექილის თანა-შემწე ვასილი გიორგის ძე მაჩაბელი კისრულობს კავკასიელი საქმეების ვექილობას სხვა და სხვა სამმართველოებში და უმთავრესად სენატში. აგრეთვე სპრავკების გაგზავნას. თითოეული სპრავკისთვის უნდა გამოგზავნოთ ხუთი მანეთი.

ადრესი: въ Петербургъ, Малая Садовая домъ № 8, кв. № 24.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Іюня 1874 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე.